# ჯონ&ჯოლი



№2. 2010



Women's Information Center

ანალიტიკური ჟურნალი
ANALITICAL JOURNAL

გამოცემის ხელმძღვანელი
ელენე რუსეცკი

რედაქტორი
თამარ გოგოლაძე
მარი შარაშიძე

თარგმანი
ციალა გაბაშვილი

სტილი
მარიკა მამუჩიშვილი

დიზაინი & კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი დავთიანი

გარეკანზე: თვითნასწავლი მხატვრის,
ლეილა მამედოვას ნამუშევარი

Head of edition
ELENE RUSETSKAIA

Editor
TAMAR GOGOLADZE
MARI SHARASHIDZE

Translation
TSIALA GABASHVILI

Style
MARIKA MAMUCHISHVILI

Design & computer layout
GIORGI DAVTYAN

On the cover page:
painting of LEILA MAMEDOVA, self-tought artist

**ქალთა საინფორმაციო ცენტრის გამომცემლობა**
მისამართი: თბილისი, 0102, წინამძღვრიშვილის ქ. N40;
ტელეფონი: (995 32) 95 29 34;
ფაქსი: (995 32) 94 26 99
ელ-ფოსტა: office@ginsc.net

**Publishing House of The Women's Information Center**
Address: Tbilisi, 0102, Tsinamdzgvrishvili Street 40;
Telephone: (995 32) 95 29 34;
Fax: (995 32) 94 26 99
E-mail: office@ginsc.net

**ISSN -1987 - 9679**

UDC(უაკ) - 396 (051.2)
ჯ - 699
j - 76

# John&Joli

© ქალთა საინფორმაციო ცენტრი
Women's Information Center

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 38 39 40

ჯონ&ჯოლის მეორე ნომერი გამოიცა ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად გაეროს სატრასტო ფონდის ფინანსური მხარდამჭერით.

Second edition of John&Joli financially supported by the United Nations Trust Fund to end Violence Against Women.

UNITED NATIONS TRUST FUND TO END VIOLENCE AGAINST WOMEN

,,პრესის მონიტორინგი ოჯახში ძალადობის თემაზე" მომზადდა პროექტის - „საუწყებათაშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საქართველოში: გაერთიანებული ძალები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის შესასრულებლად" – ფარგლებში, ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად გაეროს სატრასტო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებდნენ ორგანიზაციები:

- ქალთა განათლებისა და ინფორმირების საერთაშორისო ცენტრი
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი
- დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისათვის
- სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება
- ქალთა იმედი

**Press monitoring was conducted with the financial support of The UN Trust Fund to Eliminate Violence Against Women in the framework of the project: "Intersectoral and community-based measures for the elimination of the domestic violence in Georgia: joint efforts on the implementation of the anti-violence legislation".**

- **Project was implemented by the following organizations:**
- **International Center for Information and Education of Women**
- **Women's Information Center**
- **Dynamic Psychology for Development and Democracy**
- **Democrat Women's Society of Samtskhe-Javakheti**
- **Women's Hope**

WOMEN'S FUND IN GEORGIA

კვლევა „პრესა სექსიზმისა და ქალთა პრობლემატიკის შესახებ" მომზადდა პროექტის „ერთად სექსიზმის წინააღმდეგ" ფარგლებში ქალთა ფონდი საქართველოში მხარდაჭერით.

პროექტი გამხორციელდა საქართველოს 10 რაიონში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით:

ქალთა საგანმანათლებლო ცენტრი ,,თორი", გორდის ქალთა საბჭო ,,თანადგომა", მეგობრობის ხიდი "ქართლოსი", ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი'", ,,ავანგარდი", განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი კავშირი "პროგრესი", XXI საუკუნის ქალი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ლაგოდეხის რაიონული კომიტეტი, საზოგადოება "ბილიკი", სამცხე - ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება.

*პროექტს მეთოდოლოგიური მხარდაჭერა გაუწია ქალთა საინფორმაციო ცენტრმა.*

**The research "Sexism and Women's Problems in the Media" was prepared in the framework of the project "Together against Sexism" supported by Women's Fund in Georgia.**

**The project was carried out by the civil society organisations in 10 regions of Georgia.**

**Women's Educational Center "Tori", Gorda Women's Council "Tanadgoma", Bridge of Friendship "KARTLOSI", Young Teachers Union, "Avangardi", Development and Cooperation Union "Progress", Woman of XXI Century, Anti-Violence Network of Georgia - Lagodekhi Division, Society "Biliki", Samtskhe-Javakheti Democrat Women's Society.**

***The project was methodologically supported by Women's Information Center.***



# Contents:

# ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ

## ჯონ&ჯოლი


4 **წინასიტყვაობა**
ᲔᲚᲔᲜᲔ ᲠᲣᲡᲔᲪᲙᲐᲘ

7 **პრესა სექსიზმისა და ქალთა პრობლემატიკის შესახებ**
ᲐᲕᲢᲝᲠᲘ: ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲣᲛᲚᲐᲫᲔ

16 **პრესის მონიტორინგი ოჯახში ძალადობის თემაზე**
ᲐᲕᲢᲝᲠᲘ: ᲔᲚᲔᲜᲔ ᲠᲣᲡᲔᲪᲙᲐᲘ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

4 **Preface**
ELENE RUSETSKAIA

7 **“Sexism and Women’s Problems in the Media”**
Author: KETEVAN MUMLADZE

16 **Press Monitoring on Domestic Violence**
Author: ELENE RUSETSKAIA, TAMAR GOGOLADZE

# წინასიტყვაობა

ქალთა და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული თემები, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, ქალთა და ბავშვთა უფლებები, სექსიზმი, ტრეფიკინგი და ა.შ. უაღრესად მნიშვნელოვანია ჯანსაღი საზოგადოების ფორმირებისათვის. არსებული სტერეოტიპები ხელს უწყობს ამ თემების ტაბუირებას. ამ კუთხით, მიუხედავად ქალთა ორგანიზაციების ძალისხმევისა, კვლავ არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა. ხშირად, ჯერ კიდევ ირონიული და სარკაზმული ტონით განიხილავენ ქალებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

სწორი აქცენტების გასაკეთებლად საჭიროა იმ სტერეოტიპებისა და ხარვეზების გამოვლენა, რომელიც ამ პროცესს უწყობს ხელს. წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ორი კვლევა, რომელიც ოჯახში ძალადობის საკითხის გაშუქებასა და სექსისტური გამონათქვამების გამოვლენას ეხება საქართველოში გამომავალ ცენტრალურ და რეგიონალურ მედიაში.

კვლევა „პრესა სექსიზმისა და ქალთა პრობლემატიკის შესახებ" განხორციელდა 2008 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში, საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში და ითვალისწინებდა რეგიონალური პრესის და ზოგიერთი ცენტრალური პერიოდული და ელექტრონული გამოცემის მონიტორინგს.

კვლევა განხორციელდა პროექტის „ერთად სექსიზმის წინააღმდეგ" ფარგლებში ქალთა ფონდი საქართველოში მხარდაჭერით და მიზნად ისახავდა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების, ქალების აქტიური ქსელური მუშაობის შედეგად სექსიზმის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას და სექსისტური ტენდენციების აღმოფხვრაზე ზეგავლენის მოხდენას რეგიონებსა და თბილისის მედიასაშუალებებში. ასევე, რეგიონალური გაზეთის რედაქტორებსა და ჟურნალისტებთან მომავალ თანამშრომლობას.

პროექტი განხორციელდა საქართველოს ათ რაიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების (**ბათუმი, ოზურგეთი, ხონი, სამტრედია, ახალციხე, ბორჯომი, გორი, ლაგოდეხი, კონფლიქტური ზონა**: **გალი, ცხინვალი**) წარმომადგენელთა მონაწილეობით.

# PREFACE

Issues, considering women and gender, like domestic violence, women's and children's rights, sexism, trafficking etc., are exceptionally important for the formation of healthy society. Existing stereotypes help to taboo these issues. Despite the effort of women's organizations regarding these issues, the situation is still not very enviable. Often the problems of women are considered with irony.

To make the right priority it is necessary to reveal the stereotypes and defects, which help this process. In the edition two researches are presented, which deals with displaying issues of domestic violence and sexist phrases in Georgian central and regional media services.

Research "sexism in Georgian media" was conducted in January-February 2008, before the presidential elections and considered monitoring of the regional press and some of the central periodic and electronic publications.

The research was carried out in the framework of the project "Together against Sexism" supported by The Women's Fund in Georgia. The project aimed at raising voice against sexism by the women's NGOs, initiative groups and their active networking as well as influencing the elimination of sexist tendencies in Tbilisi and regional media services. Also, future collaboration with editors and journalists of regional newspapers.

The project covered 11 regions of Georgia and representatives of each region, amongst conflict zones, took part in the implementation process (Batumi, Ozurgeti, Khoni, Samtredia, Akhaltsikhe, Borjomi, Gori, Lagodekhi, conflict zone: Gali, Tskhinvali).

It is remarkable that the word "sexism" is one of those phrases that is new for wide range of society and its meaning is unclear for many people.

The second research "Press Monitoring on Domestic

საგულისხმოა, რომ სიტყვა „სექსიზმი" ჯერ კიდევ იმ ტერმინთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ყურს ჭრის საზოგადოების ფართო ფენებს და მისი მნიშვნელობა და შინაარსი ბევრისთვის უცხო და სახამუშოა.

მეორე კვლევა „პრესის მონიტორინგი ოჯახში ძალადობის თემაზე", განხორციელდა პროექტის „საუწყებათაშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალდობის აღმოსაფხვრელად საქართველოში; გაერთიანებული ძალები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის შესასრულებლად" ფარგლებში, 2009 წელს. პროექტს ახორციელებდა ხუთი ორგანიზაცია ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად გაეროს სატრასტო ფონდის მხარდაჭერით.

ოჯახში ძალადობის თემა დიდი ხნის განმავლობაში იყო ტაბუდადებული საქართველოში, მისი სახალხოდ განხილვა საზოგადოების მიერ მიიჩნეოდა სირცხვილად, რაც ხელს უწყობდა მოძალადეთა დაუსჯელობას, ართულებდა მსხვერპლთა მდგომარეობას და იწვევდა მათ სტიგმატიზაციას. სწორედ ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ქართული საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბეჭდური მედია, რომელიც ვრცელდება მკითხველთა ფართო წრეებში და საქართველოს ყველა რაიონს ფარავს, როგორ აშუქებს აღნიშნულ პრობლემას.

საქართველოში კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" მიღებულ იქნა 2006 წელს. კანონის მიღებამ ხელი შეუწყო ამ საკითხის წარმოჩენასა და მის სამართლებრივ ჩარჩოში დარეგულირებას. რა გავლენა იქონია კანონის ამოქმედებამ ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენაზე და რამდენად აისახება სახელმწიფოებრივი მექანიზმების ფუნქციონირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამის ერთ-ერთი თვალნათლივ სურათს მედია სივრცეში არსებული მასალა გვაძლევს ოჯახში ძალადობის საკითხთან დაკავშირებით.

ოჯახში ძალადობის საკითხის გაშუქებასთან ერთად ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია კონფიდენციალობისა და კორექტული მუშაობის საკითხი მსხვერპლის პირად ინფორმაციასა და მის გარემოცვასთან. პუბლიკაციებში ხარვეზების გამოვლენა ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარებას ჟურნალისტებისათვის, რომელნიც აიმაღლებენ პროფესიონალიზმს და ამავდროულად უზრუნველყოფენ მსხვერპლთა უფლებების დაცვას.

**ელენე რუსეცკი**

Violence" was conducted in the framework of the project "Intersectoral and community-based measures for the elimination of the domestic violence in Georgia: joint efforts on the implementation of the anti-violence legislation" in 2009. The project was carried out by the five women's NGO with support of UN Trust Fund to Eliminate Violence Against Women.

The issue of domestic violence was tabooed in Georgia for long time; society considered it as a shame thus contributing to permissiveness towards the violators, complicated the victims' condition and resulted in their stigmatization. Therefore, it is of great significance to find out, at the current stage of development of Georgian society, how the printed media circulating in the wide circles of readers and covers all regions of Georgia, elucidates this problem.

Georgian Law on Eradication of domestic Violence, Protection of the Victims of Violence and Their Assistance was adopted in 2006. Adoption of this law contributed to bringing of this issue forward and its regulation within the legal frames. What was the impact of enforcement of the Law on revealing of the cases of family violence and how the functioning of state mechanisms is reflected in social life; show the materials in Georgian media related to domestic violence.

Together with elucidation of the family violence issues, the issues of confidentiality and correct work, with respect of the personal information and her environment is of great significance. Identification of the deficiencies in the publications would contribute to implementation of the special education programs for the journalists, who would improve their professional level and ensure protection of the victims' rights.

***Elene Rusetskaia***


eram
Aucun corps de femme n'a été exploité dans cette publicité.
399F Alexandre Matthieu pour eram


BANKER BY DAY.
BACARDI BY NIGHT.


detroit style


It's nice to have a girl around the house.




Este oscuro objeto de deseo


Take your best shot.


"I won't let housework


We Know Exactly What You've Been Searching For

# პრესა სექსიზმისა და ქალთა პრობლემატიკის შესახებ

**2008 წელი**
**იანვარი-თებერვალი**
**ავტორი: ქეთევან მუმლაძე**

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საქართველოში გამომავალ ზოგიერთ ცენტრალურ და რეგიონულ ჟურნალსა და გაზეთში დაბეჭდილი სექსისტური, ასევე ქალთა პრობლემატიკის გაშუქებისას დაფიქსირებული არაადეკვატური გამონათქვამებისა და ფრაზების მიმოხილვა-შეფასებას.

მედიაერთეულები არ არის შერჩეული კონკრეტული მეთოდოლოგიის საფუძველზე, შერჩევა არ ეფუძნება მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებს, შესაბამისად, განსახილველი მასალისადმი მიდგომა არ არის ერთიანი. ანგარიში ასახავს ქართულენოვან ბეჭდვით მედიაში არსებულ საკმაოდ ზოგად სურათს. მიმოხილვას არ აქვს მეცნიერული კვლევის პრეტენზია.

ანგარიში ეყრდნობა ქვემოთჩამოთვლილი ცენტრალური და რეგიონული ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციათა მონიტორინგს: **„აჭარა"** (გამოდის კვირაში სამჯერ), **„ბათუმელები"** (ყოველკვირეული), **„გურიანიუსი"** (გამოდის კვირაში 2-ჯერ), **„გურიის ახალგაზარდული გაზეთი"** (ყოველკვირეული), **„გურიის მოამბე"** (ყოველკვირეული), **„სამხრეთის კარიბჭე"** (ყოველკვირეული), **„მესხეთის ექსპრესი"** (ყოველკვირეული), **„ლომჭაბუკი"** (ყოველკვირეული), **„ბორჯომი"** (ყოველკვირეული), **„იმედი"** (ყოველკვირეული), **„რეპორტი-2"** (ყოველკვირეული), **„ქართლის ხმა"** (რეგიონულები), „სპექტრი" (ყოველკვირეული), **„კახეთის ხმა"** (ყოველკვირეული), **„მაცნე"** (ყოველკვირეული), **„ჩვენი თაობა"** (ყოველკვირეული), **„სარკე"** (ცენტრალური, ყოველკვირეული), **„ბომონდი"** (ყოველკვირეული), **„თბილისელები"** (ყოველკვირეული), **„ვერსია"** (კვირაში სამჯერ), **`Presa.ge", Media.ge. Newsgeorgia.ge.** (ონლაინგამოცემები), ასევე, ზოგიერთი ონლაინ და ბეჭდური რეკლამა/განცხადება. საანგარიშო პერიოდია 2008 წლის იანვარი-თებერვალი.

# Sexism and Women's Problems in the Media

***2008***
***January-February***
***Author: Ketevan Mumladze***

This report contains review and assessment of inadequate expressions and phrases of sexist nature as well as dealing with the women's problems published in some central and regional magazines and newspapers.

Media outlets were not selected based on any specific methodology, selection was not based on any strictly determined criteria; respective; accordingly, approach to the materials to be discussed is not equal. The report reflects the situation of Georgian printed media quite generally. The overview does not claim to be the scientific research.

The report is based on monitoring of publications of the central and regional magazines and newspapers listed below: **"Adjara"** (three times per week); **"Batumelebi"** (weekly), **"Guria News"** (2 times per week); **"Guriis Akhalgazrduli Gazeti"** (Guria Youth Newspaper) (weekly), "**Guriis Moambe"** (weekly), "**Samkhretis Karibche"** (weekly), "**Meskhetis Ekspresi"** (weekly), "**Lomchabuki"** (weekly), "**Borjomi"** (weekly), "**Imedi"** (weekly), **"Reporti 2"** (weekly), "**Kartlis Khma"** (regional), "**Spektri"** (weekly), "**Kakhetis khma"** (weekly), "**Matsne"** (weekly), "**Chveni Taoba"** "Our Generation" (weekly), "**Sarke"** (central, weekly), "**Bomondi"** (weekly), "**Tbiliselebi"** (weekly), "**Versia"** (three issues per week), "**Presa.ge"**, "**Media.ge"**, "**Newsgeorgia.ge"** (online publications), as well as some online and printed advertisement/

## „ქალები სუსტი არსებები არიან, ქალებს მხოლოდ სამზარეულოში ტრიალი ხიბლავთ"



ქალთა პრობლემატიკის შესახებ, ტრადიციისამებრ, ცენტრალურ, დიდი ტირაჟით გამომავალ ბეჭდვით მედიაში უფრო ინტენსიურად იბეჭდება, ვიდრე – რეგიონებში. ცენტრალურ პრესაში თემატიკაც მრავალფეროვანია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭდვითი მედია, როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონული იშვიათად წერს გენდერულ პრობლემატიკაზე, საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ. რეგიონული პრესით გენდერული საკითხები თითქმის არ შუქდება ან ძალზე იშვიათად ხდება ჟურნალისტის დაინტერესების საგანი. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია იყოს ჩვენი ქვეყნის სოციო-კულტურული და ტრადიციებით განპირობებული პატრიარქალური გარემო.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით უნდა დავასკვანათ, რომ სექსისტური დამოკიდებულებები უფრო ხშირია მრავალტირაჟიან, ურბანისტულ, ყვითელ მედიაში. რაც უფრო მრავალტირაჟიანია გამოცემა და რაც უფრო მეტად შეესაბამება ურბანისტულ ინტერესებსა და გარემოს, უფრო მეტად ასახავს საზოგადოებაში ქალის ჩართულობისა და გენდერულ თემებს, შესაბამისად უფრო მეტად ფიქსირდება სექსისტური ელემენტები, როგორც ფრაზეოლოგიაში, ასევე გრაფიკულ მასალაში. სექსისტური ელემენტების სიმრავლით ხშირად სცოდავს ყვითელი პრესა. მონიტორინგი განხორციელდა 22 მედიაერთეულზე. აქედან სექსისტური ფრაზეოლოგია ამოიკრიბა 8 შედარებით მრავალტირაჟიან გამოცემაში (ონლაინგამოცემების გარდა), რომელთა გავრცელების არეალი ფართოა და ერთი კონკრეტული რეგიონის ფარგლებს სცილდება, რაც განამტკიცებს აზრს, რომ სექსიზმით უფრო მეტად ურბანისტული, მრავალტირაჟიანი, თემათა მრავალფეროვნებით გამორჩეული და ყვითელი პრესა სცოდავს.

პრესის პუბლიკაციები, რომლებიც ასე თუ ისე უკავშირდება ქალთა საკითხებს, არის: ძალადობის (გაუპატიურების), ქალის უფლებების, გენდერული თანასწორობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ოჯახში, საზოგადოებასა და მამაკაცის ცხოვრებაში ქალის როლის შესახებ.

საერთო ჯამში განხორციელებული მოკლევადიანი მონიტორინგის (2008 წლის იანვარი-თებერვალი) შერჩეულ პერიოდიკაში ქალთა თემატიკასთან დაკავშირებული 140-მდე პუბლიკაცია დაფიქსირდა. სექსისტური მიდგომები (სექსიზმები) მხოლოდ ზოგიერთ მათგანში აღინიშნება.

## “Women are weak creatures; they like to be in kitchen only”

announcements; period: January-February 2008.

Traditionally, comparing to regions, articles about women's problems are published more intensively in central media. In the central press the topics are various, though it should be noted that both, central and regional media rarely publish articles about gender issues and role of women in the society. In the regional mass media gender issues actually are not broadcasted at all. This topic appears out of journalists' interest. One of the reasons may be patriarchal environment caused by socio-cultural traditions in our country.

Based on the results of conducted monitoring we can state that the sexist attitude is more frequent in the widely circulating urban yellow media. Circulation of the publication and its correspondence to urban interests and environment is greater as well as extent of elucidation of women's involvement and gender issues. Consequently, sexist elements are detected more frequently both in phraseology and graphic materials. Sexist elements are very frequent in yellow press. Monitoring was conducted over 22 media units, in 8 out of 22 the sexist phraseology was detected (with the exception of online publications), and the area of spreading was quite wide and was spread beyond the borders of one specific region. This supports the opinion that sexism is characteristic mostly for urban, widely circulating yellow press distinguished with various topics.

Publications related to women's issues in one or the other way deal with: sexual violence (rape), women's rights, gender equality, reproductive health, woman's role in family, society and in men's life.

As a result of performed short-term monitoring (January-February 2008) of the selected periodicals, about 140 publications dealing with women's issues were identified. Sexist approaches (sexisms) were

ალსანიშნავია, რომ შერჩეულ რეგიონულ პრესაში მხოლოდ გაზეთ „ბათუმელებს" აქვს რუბრიკა „გენდერი". რუბრიკა ძირითადად ქალთა უფლებების თემაზე შექმნილ პუბლიკაცებს აერთიანებს. საკუთრივ სექსიზმის პრობლემაზე მოცემულ პერიოდში გაზეთს ყურადღება არ გაუმახვილებია.

განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ რეგიონულ მედიაში ტექსტუალური სექსიზმები იშვიათად გვხვდება, სექსიზმები ძალზე იშვიათია გრაფიკულ მასალაშიც (ფოტო, რეკლამა, რეპროდუქცია, კოლაჟი), შესაბამისად, ეს პრობლემა მოცულობითი არ არის. განსხვავებული მდგომარეობაა ცენტრალურ პრესაში. სექსიზმებს აქ ვხვდებით როგორც ტექსტუალურ, ასევე გრაფიკულ მასალაში. პრესაში არ იბეჭდება საკუთრივ სექსიზმის, როგორც პრობლემის შესახებაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუკი სექსიზმი ფიქსირდება პრესაში, ის როგორც წესი, არის ქალისადმი და არა მამაკაცისადმი სექსისტური მიდგომის ნიმუში.

განვიხილოთ რეგიონული და ცენტრალური ბეჭდვითი მედიის ზოგიერთი ნიმუში. აჭარის რეგიონის ბეჭდვითი მედია იშვიათად წერს ქალებსა და მათ პრობლემებზე, გენდერულ თანასწორობასა და საზოგადოებაში ქალის როლის დამკვიდრებაზე. 2008 წლის იანვარ-თებერვალში საერთო ჯამში 100-მდე პუბლიკაცია ეხება ფემინურ საკითხებს. მათგან ზოგიერთ პუბლიკაციაში აღინიშნა სექსიზმი ქალის მიმართ.

ქალთა საკითხებს ეძღვნება როგორც ვრცელი, ასევე მცირე ზომის, ხშირად ფოტოებით გაფორმებული პუბლიკაციები, ხშირია შემთხვევები, როდესაც ფოტოები არ უკავშირდება პუბლიკაციის შინაარსს. პუბლიკაციებში არ გვხვდება რაიმე სახის კვლევების ან ანგარიშების მონაცემები. ხშირად ამა თუ იმ საკითხის ექსპერტებად არაკომპეტენტური პირები გვევლინებიან.

საერთო სურათი ცხადყოფს, რომ ჟურნალისტები ნაკლებად, თუმცა გარკვეულ წილად მაინც ინტერესდებიან ქალთა საკითხებით, სექსისტური დამოკიდებულება ქალის მიმართ ხშირად ვლინდება როგორც პუბლიკაციის თემების, ასევე - რესპონდენტებისათვის განკუთვნილი კითხვების შერჩევისასაც. გვხვდება ისეთი ფოტოებიც, რომლებიც თემატურად არ შეესაბამება პუბლიკაციას, თუმცა სექსისტური ხასიათისაა.

> “ღალატი შესაძლოა არა, მაგრამ მომწონს ქართველი მამაკაცის უპირატესობა ქალზე...”

detected only in some of the abovementioned publications.

It should be noted that in the regional mass media, only newspaper “Batumelebi” has the rubric “gender”. It unifies publications about women’s rights. In the monitoring period no newspaper focused on sexism.

On the basis of the prepared monitoring in Georgian regional media the textual sexisms are rare, similarly, the sexisms are very rare in the graphical materials (photo, advertisement, reproduction, collage) as well. Hence, this is not a widespread problem. The situation is different in the central media. Here the sexisms are frequent in the textual and graphical materials. Nothing is published about sexism as a problem as well. It should be also noted that if sexism is detected in mass media, it is the example of sexist approach to women and not to the men.

Here are some examples of regional and central printed media:

Printed media of Adjara Region rarely publishes articles about women and their problems, gender equality and women’s role in society. In January-February 2008, about 100 publications dealt with the feminine issues. The sexism cases towards women were detected only in some of them.

Both, the large and small publications, often those with the photos were dedicated to the women’s issues. There were many cases when the photos were not related to the contents of the publications; publications do not contain data of any researches or reports. In many cases the experts in these fields are not competent.

General situation shows that the journalists are not interested in women’s issues, though, some of them still do. Sexist attitude towards women in many cases reveals as the issues of publications, or the

> “Maybe I am against fornication, but I apparently like domination of Georgian men over women…”

გაზეთ **„აჭარის"** პუბლიკაციები ძირითადად ეხება რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რეგიონალურ სახელმწიფო სტრუქტურებში განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს. მიმოხილულია ქვეყანაში და დედაქალაქში მიმდინარე ის პროცესები, რომლების ძირითადად დაკავშირებულია ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობასთან. ნაკლებად შუქდება სოციალურ-ეკონომიკური თემატიკა. გაზეთში არ არის ქალთა პრობლემატიკის გამაერთიანებელი რუბრიკები.

გაზეთი **„აჭარის"** პუბლიკაციებში სექსისტური დამოკიდებულებით გამოირჩევა ნინო ცხვარაძის რუბრიკა "უჰალსტუხოდ" და ახალგაზრდული ჩანართი "იალქანი".

რუბრიკის "უჰალსტუხოდ" სტუმრები აჭარის გამორჩეული ან წარმატებული პიროვნებები არიან (პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები). რესპონდენტებად მხოლოდ მამაკაცები გვევლინებიან, თავად რუბრიკის სათაურიც გვამცნობს, რომ ქალებს აქ არაფერი ესაქმებათ. ჟურნალისტი რუბრიკის თემას და შეკითხვების შინაარსს ძირითადად არ ცვლის, ხდება მხოლოდ მათი ინტერპრეტირება და რესპოდენტთან მორგება. ეს რუბრიკა მამაკაცის, როგორც უპირატესი და ქალის მეორეხარისხოვან სუბიექტად დამკვიდრების ტენდენციის მატარებელია. შეკითხვები ყოველთვის შეიცავს ქალის დაკნინების ელემენტებს, მაგალითად, შეკითხვა - **„ეთანხმებით მამაკაცების მოსაზრებას, რომ ქალები ლამაზები და სულელები უნდა იყონ?"** („აჭარა", #6, 2008) ან შეკითხვა - **„ქალს რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში და როგორი უნდა იყოს სუსტი სქესის წარმომადგენელი?"** („აჭარა", #23, 2008).

> “ მარკეტინგულ განყოფილებას სასწრაფოდ ესაჭიროება მომხიბვლელი და კომუნიკაბელური გოგონები პრომოუტერებად ”

გაზეთი **„აჭარის"** ახალგაზრდული ყოველკვირეული ჩანართის „იალქნის" თითქმის ყველა ნომერი შეიცავს სექსიზმის ელემენტებს. მართალია „იალქანის" ფურცლებზე უფრო ხშრად, ვიდრე საკუთრივ გაზეთ „აჭარაში" იწერება გენდერულ თანასწორობაზე, ქალებსა და მათ პრობლემებზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდა ჟურნალისტები (ამ ჩანართზე მხოლოდ ახალგაზრდა ჟურნალისტები მუშაობენ) უფრო მეტად ინტერესდებიან ამ თემებით, თუმცა ისინი ქალთა თემებისა და პრობლემატიკის მიმართ ძირითადად მიკერძოებულ, პირად დამოკიდებულებას ასახავენ, რომელიც ხშირად ნეგატიური და სექსისტური ელემენტებით გაჟღენთილია. ამ მხრივ შეიძლება გამოვარჩიოთ ორი ჟურნალისტი. საყურადღებოა, რომ ორივე მამაკაცია - დაჩი მაჩაბელი და ჯაბა

questions selected for the respondents. There are also photos which do not correspond to the contents of publications, thought hey are of sexist nature.

Publications of newspaper **"Adjara"** basically deal with the political processes in the region as well as activities planned and implemented by the local government structures Those ongoing processes in the capital and in the whole country are overviewed, which are basically connected with central government's activities. The socioeconomic issues are posted rarely; the newspaper has no rubric about women's problems.

In the publications of newspaper **"Adjara"** Nino Tskhvaradze's rubric "Without Tie" and the inclusion for young people "Ialkani" are distinguished with sexist attitude.

Guests of rubric "Without Tie" are distinguished and successful persons of **"Adjara".** The name of rubric clearly shows that women have nothing to do here. The journalist mostly maintains the contents of the questions and the issues. They are only interpreted and tailored to the specific respondent. Thus rubric tends to place the men into the dominating position, making women the second-class subjects. The questions always contain the elements of diminishing of women, e.g. the question: **"do you share men's position that women should be beautiful and silly?"** ("Adjara" #6, 2008); or the question: **"What is the place of women in your life and what kind of character should representative of weak sex have?"** ("Adjara" #23, 2008).

Almost all issues of weekly enclosure of newspaper **"Adjara"**or young people, Ialkani contains the elements of sexism. Though, the articles about gender equality, women and their problems are published more frequently by Ialkani than by "Adjara"itself. This shows that the young journalists (only young journalists work in this enclosure) are interested in these issues at greater extent. Though, mostly they reflect biased, personal attitude towards the women's




ანანიძე. მათი პუბლიკაციები ძირითადად ქალთა უფლებებზე, გენდერულ თანასწორობასა და ზოგადად, ქალის შესახებაა.

მაგალითად, პუბლიკაცია **„ქართული გენდერის ძველი და ახალი კადრები"** გაჯერებულია სექსისტური გამონათქვამებითა და უარყოფითად სექსისტური დამოკიდებულებით. პუბლიკაციის სათაურიც ირონიული შეფერილობის მატარებელია. ჟურნალისტი სარკასტულად აღნიშნავს, რომ: **„ღმერთმა ხატად თავისა შექმნა ჯერ ადამი, ადამის ნეკნისაგან (და არა ფრჩხილისაგან) შექმნა სიცოცხლის საწყისი, ევა... შეიქმნა მრავალი რელიგიაც, სადაც თითქმის ერთნაირად აღიარებენ, რომ ქალი მამაკაცზე ერთი საფეხურით მაინც დაბლა დგას."** თავის პირადი დამოკიდებულებას ავტორი მოურიდებლად აცხადებს ფრაზით: **„ქალები სუსტი არსებები არიან, ქალებს მხოლოდ სამზარეულოში ტრიალი ხიბლავთ"** („აჭარა", #11, 2008, ახალგაზრდული ჩანართი „იალქანი", #13).

ახალგაზრდული ჩანართის, „იალქნის" იგივე ნომრის პუბლიკაციაში **„ქართული ტრადიციები"** ჟურნალისტი დაჩი მაჩაბელი სტუდენტებთან დისკუსიას მართავს ისეთ თემაზე, როგორიცაა: ქალის და მამაკაცის როლების გადანაწილება, ქალიშვილობის ინსტიტუტი. პუბლიკაციაში არ არის მოყვანილი ექსპერტის, სპეციალისტის მოსაზრება, არც რაიმე კვლევის შედეგი. პუბლიკაციაში დისკუსიის მონაწილეთა სუბიექტური, წანამძღვრებზე დაუფუძნებელი სექსისტური დამოკიდებულებები ვლინდება. სტუდენტი უშანგი ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ **„ღალატი შესაძლოა არა, მაგრამ მომწონს ქართველი მამაკაცის უპირატესობა ქალზე**..."; ხოლო რესპონდენტი თორნიკე მჟავანაძე კითხვაზე, მოიყვანდა თუ არა შეყვარებულს ცოლად იმ შემთხვევაში, თუ ის ქალწული არ აღმოჩნდებოდა პასუხობს: **„შესაძლოა გავაგრძელო მასთან მეგობრობა, მაგრამ ცოლქმრობა გამორიცხულია. ტრადიცია არაფერს მაძალებს. ასეთი ქცევა უხდება ქართველ მამაკაცს და ამიტომაც მოვიქცეოდი ასე**..." („აჭარა", #11, 2008,

“ Marketing Department would invite charming and communicable girls as promoters ”

issues and problems, in many cases saturated with negative and sexist elements. In this respect, two journalists may be distinguished; notably, both of them are men - Dachi Machabeli and Jaba Ananidze. Their publications basically deal with the women's rights, gender equality and generally, the women.

E.g. the publication **"Old and New Frames of Georgian Gender"** is saturated with sexist expressions and negative sexist attitude. The title of the publication is ironic. The journalist sarcastically states that: **"Lord at first created Adam as reflection of his image and from Adam's rib (and not from his nail) he created the origin of life, Eve... There were developed numerous religions, where they recognize that women is at least one step lower than men".** The author clearly states by the phrase: **"Women are weak creatures; they like to be in kitchen only."** ("Adjara" #11, 2008, enclosure of young people Ialkani # 13).

In the same issue of "Ialkani", article **"Georgian Traditions"**, Dachi Machabeli, the journalist discusses issue of redistribution of women's and men's roles, the institute of virginity with the students. The publication does not contain any opinion of the experts or specialists, or any results of the studies. Publication reveals the subjective, sexist attitude based on prehistory of the participants of discussion. Ushangi Japaridze, student states: **"Maybe I am against fornication, but I apparently like domination of Georgian men over women...";** and the respondent Tornike Njavanadze, was asked the question, whether he would get married in case his fiancée is not virgin, he answered: **"Maybe I can continue the friendly relations with her, but marriage is excluded. There is nothing about tradition, such behavior fits Georgian man and therefore I would act this way..."**

„იალქანი", ახალგაზრდული ჩანართი, დაჩი მაჩაბელი)." პუბლიკაციების სული გაჯერებულია ქართველი მამაკაცის განსაკუთრებულობის (?!), ქალთან შედარებით უპირატესი ღირსების განცდით.

გაზეთ **„აჭარაში"** ქალთა თემებთან დაკავშირებულმა პუბლიკაციებმა 14 თებერვლისათვის - „ვალენტინობისას" და თებერვლის მიწურულს - მარტის დღესასწაულების დადგომისათვის იმატა. გაზეთ „აჭარის" პუბლიკაციებში ფემინური თემებისადმი დამოკიდებულება ნეიტრალურია, არ გამოირჩევა ნეგატიური და პოზიტიური ტენდენციებით მაშინ, როცა ახალგაზრდული ჩანართის „იალქნის" დამოკიდებულება საერთო ჯამში ტენდენციურია, სექსისტური მიდგომებით გამორჩეული.

> “ მიმაჩნია, რომ ქალი საოჯახო საქმეებით უნდა იყოს დაკავებული. არ ვარ წინააღმდეგი საზოგადოებაში თავისი ადგილიც ეჭიროს, მაგრამ, როდესაც მაქსიმალურ კომფორტს შეუქმნი მეუღლესა და შვილებს, ცოლის მუშაობა აუცილებელ პირობად არ მიმაჩნია. ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც მამაკაცმა უნდა აიღოს საკუთარ თავზე ”

გაზეთ **„ბათუმელებში"** პუბლიკაციათა თემატიკა მრავალფეროვანია. აქ არის როგორც პოლიტიკური ხასიათის, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პუბლიკაციები, გასართობი და შემეცნებითი სტატიები. გაზეთი ძირითადად აჭარის, ასევე მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებსა და სიახლეებს მიმოიხილავს. გაზეთი წერს გენდერული თანასწორობის საკითხზეც.

გაზეთ „ბათუმელების" პუბლიკაციებში ნაკლებად ფიქსირდება სექსისტური გამონათქვამები. პუბლიკაციებში დაფიქსირებული სექსისტური გამონათქვამების ავტორები უმეტესად რესპონდენტები (და არა ავტორები, ჟურნალისტები) არიან. გარდა ამისა, გაზეთებში იბეჭდება სექსისტური ფოტოებიც, რომლებიც თემატურად ხშირად არ არის დაკავშირებული პუბლიკაციის შინაარსთან. მაგალითად, „ტესტი - როგორი ვარ მე" ("ბათუმელები", #1, 2008) გაფორმებულია სექსუალური, გამომწვევი გარეგნობის მქონე ქალის ფოტოთი.

("Adjara", #11, 2008 Ialkani, youth enclosure, Dachi Machabeli)." Publication is saturated with the belief in distinguished status of Georgian men (?!) and feeling of their preference over women.

Number of publications about women's issues increased by 14tho of February - St. Valentine's Day and end of February - before March holidays. In the publications of Newspaper **"Adjara"** attitude towards feminine issues is neutral, it is not distinguished with negative or positive trends, while attitude of enclosure Ialkani, in aggregate, is biased, distinguished with sexist attitude.

There are various topics in the newspaper **"Batumelebi".** There are the publications related to political and socioeconomic issues, the entertainment and scientific articles. The newspaper publications deal with the changes and news in Adjara, as well as in the entire country. The newspaper includes publications about gender equality as well.

In the publications of the newspaper **"Batumelebi"** the sexist Phrases are less used. The authors of such Phrases are mostly respondents (and not the authors or the journalists). In addition, the newspaper publishes the sexist photos as well, which are not thematically related to the contents of publications. E.g. test: "What Kind of Person Am I" ("Batumelebi" #1, 2008) is decorated with the photo of a woman with provocative appearance.

The newspaper **"Batumelebi"** has dedicated large article to the trial over Giorgi Chikovani, the Employee of Constitutional Security Department accused for rape, discommending the violence. Mass media preferred to be silent in terms of such facts and attempts of violence just recently. The fact that mass media got interested in such fact and not only interested but also published the name of the violator, the public official, shows the democratic attitude of mass media, one of the steps closer to freedom.

**"Guria Youth Newspaper"** is not distinguished with sexist attitude, though there still are few cases:




გაზეთმა „**ბათუმელებმა**" ვრცელი პუბლიკაცები მიუძღვნა გაუპატიურებაში ბრალდებული კუდის თანამშრომლის, გიორგი ჩიქოვანის სასამართლო პროცესს, რომელშიც დაგმობილი იყო დამნაშავის მოძალადეობრივი ქმედებები. ასეთი ძალადობის ფაქტებისა და მცდელობებისადმი პრესა, როგორც წესი, დუმილს ამჯობინებდა ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში. ის, რომ პრესა დაინტერესდა ასეთი ფაქტით, და არა თუ დაინტერესდა, არამედ მოძალადე სახელმწიფო მოხელის სახელის საჯაროდ დაფიქსირებასაც არ მოერიდა, მედიის დემოკრატიულობის, თავისუფლებისაკენ გადადგმული ნაბიჯების ერთ-ერთი ნიშანია.

„**გურიის ახალგაზრდული გაზეთი**" სექსისტური მიდგომებით არ გამოირჩევა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებს აქაც ვხვდებით: **„სისულელეა იმაზე ფიქრიც კი, რომ ნამდვილი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში ქალი ლიდერობდეს**" (ნათია უნგიაძე, „შემიყვარდა მამაკაცი, რომელიც მამად შემეფერებოდა", „გურიის ახალგაზრდული გაზეთი", 21.01.2008). ქალის როლისა და მნიშვნელობისადმი მიდგომა აქაც იგივეა. აზრი მამაკაცის უპირატესობისა ქალთან შედარებით აღიქმება, როგორც ობიექტური, თავისთავად განპირობებული.

გენდერული თვალსაზრისით დისკრიმინაციული მიდგომებით ხასიათდება განცხადებები ვაკანსიების შესახებ, რომლებიც სექსიზმის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. განცხადებებში დამქირავებლები ხშირად მხოლოდ ქალებს ითხოვენ გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად. მაგალითად, ორგანიზაცია **კოლხი ბიზნეს ჯგუფი** უპირატესობას დაქირავებისას გარეგნობას და არა გამოცდილებას ანიჭებს: „მარკეტინგულ განყოფილებას სასწრაფოდ ესაჭიროება მომხიბვლელი და კომუნიკაბელური გოგონები პრომოუტერებად" (ონლაინგანცხადება, 29.01.2008).

სექსისტური დამოკიდებულებების მქონე ბევრი მასალის შერჩევა შეიძლება ყოველკვირეულ ჟურნალ „**სარკეში**". განხორციელებული

**"Even the idea that in the family with real Georgian traditions a woman may be a leader is foolish"** (Natia Ungiadze, "I fell in Love with a Man of my Father's Age" ("Guria Youth Newspaper", 21.01.2008). Approach to women's role and significance is the same. The idea of men's domination over women is perceived as a natural.

The announcements about job vacancies are distinguished with the discriminative approach with gender respect, which could be regarded as sexism. The employers often invite only women for certain jobs. E.g. organization **Kolkhi Business Group**, at a time of recruiting prioritizes appearance and not experience: "Marketing Department would invite charming and communicable girls as promoters (online announcement, 29.01.2008).

Weekly magazine **"Sarke"** publishes numerous materials containing sexist attitude. In the period of monitoring the great number of the phrases with sexist contents was taken from Sarke. In the period

> "I think that woman should be engaged in her family duties. I am not against her position within the society, but primarily she should ensure maximal comfort for her spouse and children. I don't think it is necessary for wife to have a job. A man should undertake the main responsibilities"

მონიტორინგის პერიოდში სექსისტური დატვირთვის მატარებელი ფრაზეოლოგია ყველაზე მეტი რაოდენობით სწორედ „სარკიდან” ამოიკრიბა. ორთვიანი მონიტორინგის პერიოდში სექსისტური მიდგომა 39 პუბლიკაციაში დაფიქსირდა. მათი ავტორები ძირითადად „სარკის” რესპონდენტები არიან, ე.წ. გულახდილად მოსაუბრენი, ამბის მთხრობელები. ქვემოთ მოხმობილი ამონარიდები ამისი თვალსაჩინო დადასტურებაა:

„გარდა ანატომიური ღირსებისა, მამაკაცებს სხვა ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი ღირსება გაგვაჩნია (მარი გულორდავა, „ნოდიკო ტატიშვილს ქალისთვის ბრძოლა სწყურია”, „სარკე” #2, 2008)”; _ „ქალი მძღოლები საშინლად მაღიზიანებენ. რომ ვხედავ, გავრბივარ. ქალი, როგორც მამაკაცი, ისე ვერასოდეს ისწავლის, რადგან მანქანას სჭირდება უხეშობა, ძალა, რაც არ უხდება ქალს (მანანა გეგია, „თეა გობეჯიშვილი ქმრის ნაჩუქარ მანქანაზე ერთხელაც არ მჯდარა,” „სარკე”, #3, 2008)”; „ქართულ ოჯახებში ქალი გარკვეულწილად იჩაგრება. ვფიქრობ, რომ რაღაც დონეზე ქალი და მამაკაცი უნდა ვიყოთ თანაბრად, მაგრამ არის საკითხები, რასაც კაცის ხელი სჭირდება (მარი გულორდავა, „ჯაბა კილაძემ ოცნების ქალი იპოვა”, „სარკე”, #4, 2008)”; „ოჯახში სერიოზული უსიამოვნება მოგვივიდა. დედამთილ-მამამთილიც ჩაერივნენ. დედამთილმა მითხრა, კაცია და ვიღაცასთან „გაიგულავებდა”, აბა, რას იზამდაო („ქმარი გამომიტყდა, მოსკოვში სხვა ქალთან ვცხოვრობო”, „სარკე”, #4, 2008).”

აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილი და მათი მსგავსი სექსისტური მიდგომები განიხილება და აღიქმება, როგორც ჩვეულებრივი, თავისთავად განპირობებული, აპელაციას დაუქვემდებარებელი პოზიტიური მტკიცებები.

იგივე შეიძლება ითქვას პრესის ისეთი „მოყვითალო” ნიმუშების შესახებ, როგორიცაა **„ბომონდი”** და **„თბილისელები**”. ამ ჟურნალების ფურცლებზე ხშირად არის განხილვის საგანი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ოჯახში გავლენის სფეროების გადანაწილების ტრადიციული დამოკიდებულებების გადახედვის აუცილებლობა. სექსისტური პოზიციები აქაც უმთავრესად რესპონდენტთა ტექსტებში ფიქსირდება.

მაგალითად, პარაფსიქოლოგ ირაკლი ლომაიას აზრი ოჯახში როლების გადანაწილებაზე („როგორ კურნავს კიბოს საქვეყნოდ აღიარებული ირაკლი ლომაია,” „თბილისელები”, #3 (368), 14-20 იანვარი, 2008): „მიმაჩნია, რომ ქალი საოჯახო საქმეებით უნდა იყოს დაკავებული. არ ვარ წინააღმდეგი საზოგადოებაში თავისი ადგილიც ეჭიროს, მაგრამ, როდესაც მაქსიმალურ კომფორტს შეუქმნი მეუღლესა და შვილებს, ცოლის მუშაობა აუცილებელ პირობად არ მიმაჩნია. ძირითადი პასუხის-

of two-month monitoring the sexist attitude was detected in 39 publications. Mostly, their authors are the respondents of "Sarke", those who tell their stories. The extracts provided below clearly show this: "In addition to the anatomic advantages, we, the men have numerous other advantages (Mari Gulordava, "Nodiko Tatishvili Desires to Fight for a Woman", Sarke, #2, 2008); - "Women drivers bore me very much, I usually run away when I see them. Women will never be able to drive as good as the men do, as the car requires rough force and this never fits women (Manana Gegia, "Tea Gobejishvili has never driven the car her husband gave to her" Sarke #3, 2008)"; "In Georgian families women are suppressed at certain extent. I think that at some level women and men should be equal, though there are some issues require man's hand (Mari Gulordava, "Jaba Kiladze found a Women of His Dream", Sarke #4, 2008)"; We had serious conflict in our family, mother and father in law were involved as well. My mother in law told me: he is a man and he would naturally have some other woman ("my husband recognized that he lives with the other woman in Moscow", Sarke #4, 2008)."

It should be noted that the sexist approaches similar to those mentioned above are regarded and perceived as natural, positive statements not subjected to appeal.

The same could be said about such "yellowish" samples of the press as **"Bomondi"** and **"Tbiliselebi".** These magazines often consider equality of men and women, necessity of revision of the traditional distribution of the spheres on influence in the families. The sexist positions are mostly detected in the respondent's texts in these magazines as well.

E.g. opinion of the parapsychologist Irakli Lomia, about distribution of riles in the family (How well-known Irakli Lomia Cures the Cancer", Tbiliselebi, #3 (368), 14-20 January, 2008); "I think that woman should be engaged in her family duties. I am not against her position within the society, but primarily she should

მგებლობა მაინც მამაკაცმა უნდა აიღოს საკუთარ თავზე." მიდგომათა განსხვავებაა დაფიქსირებული პუბლიკაციაში „ალტერნატივა... შარვალი" „თბილისელები", #3 (368), 14-20 იანვარი, 2008): „ის, ვისთვისაც შარვალია განკუთვნილი, მამაცი და შეუპოვარიც უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მათთან შედარებით, ვინც ძირითადად კაბაში გამოწყობილი გვევლინება." ზემოთმითითებული ნათარგმნი პუბლიკაციაა, რაც გვაძლევს საფუძველს ჩავთავლოთ, სექსისზმი გლობალური მოვლენაა.

საინტერესო დამოკიდებულებითა და მიდგომების არაერთაგვაროვნებით გამოირჩევა ასევე ნათარგმნის პუბლიკაცია „სასტიკი" აღმოსავლეთი" (,,თბილისელები" #6 (371), 4-10 თებერვალი, 2008): „უმრავლესობას მიაჩნია, რომ აღმოსავლეთში გათხოვილი ქალი მორჩილია, როგორც მონა, მაგრამ ეს უფრო მითია, რომელიც ევროპამ აღმოსავლეთზე შექმნა. აღმოსავლეთში მამაკაცი ისევე განიცდის ქალზე გავლენას, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში." ირანული ანდაზა: „ყველა ირანელი მამაკაცი ორ კატეგორიად იყოფა: პირველ კატეგორიას ეშინია საკუთარი ცოლის, მეორე კატეგორიას კი ძალიან ეშინია საკუთარი ცოლის". „აღმოსავლეთში ყველა ქალი გეტყვით, რომ ქმარი, ეს არის თავი, ცოლი კი კისერი, რომელიც ამ თავს სურვილისამებრ აქეთ-იქით აბრუნებს."

დიტო გელოვანი სარკაზმით გამორჩეული ავტორია. თავის ყოველკვირეულ მიმოხილვაში „ის, რაც ხდებოდა გასულ კვირაში" (გაზეთი **„ვერსია"**) მისი ქილიკის საგანი სხვებთან ერთად ქალებიც ხშირად ხდებიან. მიზანმიმართული სექსისტური კონტექსტი მის პუბლიკაციებში ერთგვარი ხერხიც კია სტილისტური შეფერილობის გასამრავალფეროვნებლად, მაგალითად, შემდეგი პასაჟი: „ისევე, როგორც შუა საუკუნეებში, მძიმე მომენტში ამჯერადაც მანდილის ინსტიტუტმა უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა. ბურჯანაძე, ნადირაძე, გოგორიშვილი, ვერულაშვილი, გოცირიძე, ტყეშელაშვილი, შარაშიძე... ბათუმიდან ეკა ხერხეულიძე ჩამოვა (ნებისმიერი ხელისუფლების პირველ დაძახებაზე ჩამოდიოდა და ახლაც ჩამოვა) და გაიმართება შიდასახელისუფლებო ქალთა კონსულტაცია. ეკონომიკის თავისუფლების ინდექსის კვლადაკვალ გენდერული წონასწორობის მაჩვენებლებსაც გავიუმჯობესებთ" (04. 02. 2008, „ვერსია").

ensure maximal comfort for her spouse and children. I don't think it is necessary for wife to have a job. A man should undertake the main responsibilities". Publication "Alternative... Trousers" fixes the difference of approaches, Tbiliselebi #3 (368), 14-20 January 2008); "a person, for whom the trousers are intended, should be brave and purpose-driven, at least, compared with those, who basically wear dresses." Abovementioned publication is translated and this makes us think that sexism is a global phenomenon. Translated publication "Cruel East" is also distinguished with interesting and different approaches (Tbiliselebi #6 (371), 4-10 February, 2008); "most people believe that a married woman in the east is obedient as a slave, but this is a myth created by the Europe about eastern countries. In the east, a man has the similar influence over a woman as in any other country. Persian proverb: "All Persian men are divided into two categories. First category includes those who are afraid of their own wives and the second category representatives are very afraid of their own wives". In the east every woman would say to you that a man is a head and a woman is a neck, which turns this head as she wishes."

Dito Gelovani is an author famous with his sarcasm. In his weekly review "What Happened in the past Week" (newspaper **"Versia"**) and women becomes the subject of his sarcasm quite frequently, together with the others. The targeted sexist context in his publications is even some kind of technique to make style richer. E.g. the following passage: «as it was in the Middle Ages, now, at this heavy moment, Women's kerchief should say the final word. Burjanadze, Nadiradze, Gogorishvili, Verulashvili, Gotsiridze, Tkeshelashvili, Sharashidze ... and Eka Kherkheulidze will come from Batumi (she used to come immediately after first call of any government and she will come now) and internal governmental women's consultation will be arranged. Together with the index of economic freedom, we would improve the gender balance as well" (04.02.2008, Versia).



# პრესის მონიტორინგი ოჯახში ძალადობის თემაზე

*2009 წელი*
*თებერვალი-ივლისი*
*ავტორი: ელენე რუსეცკი , თამარ გოგოლაძე*

## შესავალი

”ოჯახური ძალადობა”, “საშინაო ძალადობა” – ეს ის არასწორი ტერმინოლოგიაა, რომელსაც ჩვენ მიერ მომზადებულ პრესის მონიტორინგში ხშირად შეხვდებით, თუმცა, რა თქმა უნდა, ციტირებისას. აღნიშნული ტერმინოლოგიის ამგვარ გამოყენებას მხოლოდ ჟურნალისტებს ვერ დავაბრალებთ. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ხშირად, ამ საკითხზე მომუშავე ადამიანებიც ასე იყენებენ. კვლევებსა და აკადემიურ გამოცემებშიც შეხვდებით არაზუსტ ტერმინოლოგიას. საჭიროა ამ საკითხს კონცეპტუალურად მივუდგეთ და ზოგადი სახის პრობლემად დავასახელოთ, ამავე დროს გავიხსენოთ კიდევ ერთხელ ოჯახში ძალადობის განმარტება, რომელიც კანონითაა გამყარებული.

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მიღებულია 2006 წლის 25 მაისს.

> *ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით;*

რაც შეეხება კვლევას, “პრესის მონიტორინგი ოჯახში ძალადობის თემაზე”, იგი ითვალისწინებს ქართულ ბეჭდვით მედიაში ოჯახში ძალადობის საკითხის გაშუქების ტენდენციების გამოვლენას.

პირველ ეტაპზე, 12 თვის განმავლობაში, მიმდინარეობდა დაკვირვება მონიტორინგისათვის სავარაუდოდ შერჩეულ ჟურნალ-გაზეთებზე. დაკვირვების შემდეგ გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა 9 გაზეთი და განისაზღვრა დროის ზუსტი მონაკვეთი. საბოლოოდ, საკვლევი პერიოდი მოიცავს 6 თვეს და გაზეთის 780 ერთეულს.

როდის და როგორ ინტერესდება მედია ოჯახში ძალადობის თემითა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობით? საკმარისია თუ არა ჟურნალისტების მიერ მოწოდებული მასალა საზო-

# Press Monitoring on Domestic Violence

*2009*
*February-July*
*Author: Tamar Gogoladze, Elene Rusetskaia*

## INTRODUCTION

"Inner Violence", "Family Violence" – these are wrong terminology, which you will find very often in our press monitoring but of course in quotations only. We can't blame only journalists for using the wrong terminology. This may seem sad but often they are used by those who work on the issue. One will find the wrong terminology even in researches and academic editions. It is necessary to admit the issue as a general problem and recall definition of Domestic Violence once again as it's defined in the Law.

Law of Georgia on Elimination of Domestic Violence, Protection of and Support to Its Victims was adopted on 25th of May, 2006.

> *DOMESTIC VIOLENCE - the violation of constitutional rights and freedoms of one family member by another through the physical, psychological, economic or sexual violence or coercion.*

When it comes to research "Press Monitoring on Domestic Violence" it reveals tendencies of press coverage on domestic violence.

At first stage, during the period of 12 months, selected journals and magazines were observed. After some observations, 9 magazines were selected and certein period of time for the monitoring was defined. The research covers 6 months and 780 units.

When and how gets madia interested in the issue of Domestic Violence and conditions of its victims? Are materials provided by the journalists enough for the society awareness and/or for forming their opinion? These are issues that the research focuses on more.

The observation revealed that in printed media one can hardly find articles aiming at revealing problems and making deep analysis. Sources of information are poor. In addition, the journalists use wrong definitions, such as "Inner Violence" and "Family Violence".

We hope that the monitoring will be interesting

გადოების ინფორმირებისა და/ან საზოგადოების აზრის ფომირებისათვის? ეს არის ის საკითხები, რომელიც კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენდა.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ პრესაში ძალზე იშვიათია ჟურნალისტის მიერ მომზადებული მასალა, რომელიც მიზნად ისახავს პრობლემის კომპლექსურ წარმოჩენას და სიღრმისეულ ანალიზს. მწირია ინფორმაციის მოძიების წყაროებიც. გარდა ამისა, ჟურნალისტები ოჯახში ჩადენილი ძალადობის აღმნიშვნელ დეფინიციად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყენებენ ,,ოჯახურ ძალადობას“, ზოგიერთ შემთხვევაში კი ,,საშინაო ძალადობას“.

იმედი გვაქვს მონიტორინგი საინტერესო იქნება ყველა იმ პირისთვის, ვინც მუშაობს ამ თემაზე, ასევე ჟურნალისტების, მკვლევარებისა და რიგითი ადამიანებისთვისაც, ვინც ყოველდღიურად ეხება ამ მოვლენას.

პრობლემა მწვავეა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

მოდით ერთად ვებრძოლოთ ამ ძნელად დასამარცხებელ სენს.

*ელენე რუსეცკი*

## ტერმინთა განმარტება

**ოჯახში ძალადობა** გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით;

